



USAID
აშშ-ის საერთაშორისო განვითარების აგენცია

BLB SINCE 1995

**NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS**

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)



იმიტირებული პროცესი კომერციულ არბიტრაჟში

საქართველოს არბიტრთა ასოციაცია USAID-ის პროგრამის - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)“ მხარდაჭერით მართავს იმიტირებულ პროცესს კომერციულ არბიტრაჟში.

იმიტირებული პროცესის მიზანია ხელი შეუწყოს კომერციული სამართლისა და კომერციული არბიტრაჟის შესწავლას და საარბიტრაჟო წესით დავების განხილვისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებას იურისტებში.

შეჯიბრი განკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კომერციული არბიტრაჟით, სურთ შეიძინონ/გაიღრმავონ ცოდნა და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება.

შეჯიბრის მთავარი სპონსორები არიან იურიდიული ფირმა "BLB" და იურიდიული ფირმა "ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები". ასევე, შეჯიბრის სპონსორია "NB Legal".

შეჯიბრის ზეპირი ნაწილი გაიმართება 2021 წლის 9-11 აპრილს.

ვის შეუძლია მიიღოს მონაწილეობა?

შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ნებისმიერი ავტორიზებული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს (რეგისტრაციის მომენტისათვის სტუდენტს დამთავრებული უნდა ჰქონდეს ბაკალავრიატის მე-2 კურსი მაინც). შეჯიბრში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ პრაქტიკოს იურისტებს (მიუხედავად სტუდენტის სტატუსისა), რომლებიც რეგისტრაციის მომენტისთვის არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები.

ერთი უნივერსიტეტიდან შეჯიბრში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს მხოლოდ 1-მა გუნდმა. თითო გუნდი უნდა შედგებოდეს 2 - 4 მონაწილისა და არაუმეტეს 2 მწვრთნელისგან.

როგორ წარიმართება შეჯიბრი?

შეჯიბრი გაიმართება ქართულ ენაზე და შედგება ორი ეტაპისგან: პირველი ეტაპი მოიცავს წერილობითი დოკუმენტების მომზადებას. თითოეული მონაწილე გუნდი მოამზადებს საარბიტრაჟო სარჩელს და საარბიტრაჟო შესაგებელს. მეორე ეტაპი შედგება ზეპირი გამოსვლებისგან, სადაც მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ წარადგინონ არგუმენტები საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე.

დამატებით ინფორმაცია იმიტირებული პროცესის შესახებ, საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენის ვადები, წესები და ზეპირი გამოსვლების პროცედურა მოცემულია შეჯიბრის [წესებში](#).

იმიტირებული პროცესის საქმის მასალების (პრობლემის) გამოსვლამდე, რეგისტრირებული გუნდების მომზადების მიზნით, საქართველოს არბიტრთა ასოციაცია, „არბიტრაჟის ინიციატივა - საქართველოს“-სთან ერთად, ჩაატარებს სემინარების სერიას: „შესავალი არბიტრაჟში“ და „სამართლებრივი წერა“, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების ცოდნის გაღრმავებას და მათ შეჯიბრისთვის მომზადებას.

ყველა მონაწილე სტუდენტს გადაეცემა შეჯიბრში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ხოლო გამარჯვებულ გუნდებს/მონაწილეს, დამატებით, შესაბამის ნომინაციაში გამარჯვების დამადასტურებელი სერთიფიკატი.

როგორ შეიძლება გავიგოთ მეტი ინფორმაცია შეჯიბრის შესახებ?

საინფორმაციო შეხვედრა შეჯიბრის შესახებ, სადაც გექნებათ შესაძლებლობა დასვათ ნებისმიერი კითხვა და გაიგოთ მეტი შეჯიბრის შესახებ, გაიმართება 2020 წლის 9 დეკემბერს, 16:00 საათზე, Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით. საინფორმაციო შეხვედრაზე დასწრების მიზნით, მოგვწერეთ: gaacompetitions@gmail.com (სათაურში მიუთითეთ "საინფორმაციო შეხვედრა").

რეგისტრაცია

იმიტირებულ პროცესში მონაწილეობის მსურველმა გუნდებმა **2020 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით** რეგისტრაცია უნდა გაიარონ შემდეგი ბმულის საშუალებით: <https://forms.gle/KXZJh2dsp6epEmeJA>

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგ ელ. ფოსტაზე: gaacompetitions@gmail.com

ყოველდღიური სიახლეებისთვის თვალი ადევნეთ ჩვენს Facebook გვერდს: <https://www.facebook.com/GAAarbitrationmoot>